ეკოტურიზმის განვითარების პოტენციალი იმერეთის რეგიონში

კალანდია მონიკა

კვარაცხელია ნანა

მერკვილაძე სალომე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში, ტურიზმში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ქემერტელიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

აბსტრაქტი

კვლევა, რომლის თემაა „ეკოტურიზმის განვითარების პოტენციალი იმერეთის რეგიონში“, მოიცავს ინფორმაციას იმერეთში ეკოტურიზმის არსებული მდომარეობის, გამოწვევებისა და პერსპექტივების შესახებ. კვლევა ასევე მოიცავს რეკომენდაციებს.

კვლევის მიზანია იმერეთის რეგიონში ეკოტურიზმის განვითარების პოტენციალის განსაზღვრა. ასევე ეკოტურიზმში არსებული პრობლემატიკის წარმოჩენა, მომხმარებლის აზრი და მათ მიერ დანახული გამოსავალი მდგომარეობიდან.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა აქვს თუ არა იმერეთის რეგიონს ეკოტურიზმის დანერგვისა და განვითარების პოტენციალი. გამოიკვეთა ეკოტურიზმის გავლენა რეგიონის ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციო-კულტურულ მდგომარეობაზე, რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო იმერეთის რეგიონში ეკოტურიზმის განვითარებისთვის და როგორია რესპოდენტების დამოკიდებულება ეკოტურიზმის განვითარების მიმართ.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა. თვისობრივი კვლევა მოიცავდა პირდაპირ ინტერვიუს ამ დარგის ექპერტებთან, საქართველოში არსებულ ეკოტურიზმის ორგანიზაციებთან და ტურისტულ სააგენტოებთან. ხოლო რაოდენობრივი მეთოდის ინსტრუმენტად გამოყენებულია ანკეტირება. გამოკითხულ იქნა მოგზაურები და ტურიზმის სფეროთი დაინტერესებული პირები. მიღებული მონაცმები გამოყენებულ იქნა არსებული ინფორმაციის განსამტკიცებლად.

საკვანძო სიტყვები: ეკოტურიზმი, იმერეთი, მდგრადი განვითარება.

Abstract

The topic of research is the "Potential for the Ecotourism Development in Imereti Region" that covers information on the current situation of ecotourism, challenges and prospects in Imereti. The survey also includes recommendations.

The goal of the research is to determine the potential for ecotourism development in the Imereti region, as well as to outline the problems in ecotourism, the opinion of the consumer and their ways of the solution.

Based on the conducted researches revealed whether the Imereti region have the potential to implement and develop ecotourism. Has been revealed the influence of ecotourism on the economic, ecological and socio-cultural condition of the region, what measures are needed to develop ecotourism in the Imereti region and what is the attitude of the respondents to the development of ecotourism.

Within the scope of the survey has been conducted qualitative and quantitative research. The qualitative research included direct interviews with experts in this field with ecotourism organizations and tourism agencies in Georgia. While quotation method is used as a tool of quantitative research. Have been interviewed the travelers and interested persons in tourism. The received data was used to strengthen existing information.

Keywords: Ecotourism, Imereti, Sustainable Development.